

## ტესტი N1 (რიცხვები 100-ის ფარგლებში)

- რიცხვები 78, 81, 63, 72, 57, 51, 89 დააღაგე კლების მიხედვით და შემოხაზე მეექვსე რიცხვი:
  - 1) 78
  - 2) 81
  - 3) 57
  - 4) 63
- 53-ის მეზობელი რიცხვებია:
  - 1) 51 და 52
  - 2) 52 და 55
  - 3) 52 და 54
  - 4) 51 და 54
- რამდენით გაიზრდება რიცხვი 65, თუ მის ჩანაწერში ციფრს 6-ს შევცვლით 8-ით?
  - 1) 2-ით
  - 2) 4-ით
  - 3) 18-ით
  - 4) 20-ით
- დაასახელე გამოტოვებული რიცხვი: 24, 34, 44, 54, . . . , 74, 84
  - 1) 58
  - 2) 56
  - 3) 46
  - 4) 64
- რამდენი ლუწი რიცხვია 43-სა და 55-ს შორის?
  - 1) 6
  - 2) 7
  - 3) 8
  - 4) 9
- რიცხვში 78 არის:
  - 1) 7 ერთეული და 8 ათეული
  - 2) 6 ათეული და 8 ერთეული
  - 3) 6 ათეული და 18 ერთეული
  - 4) 7 ათეული და 18 ერთეული
- რომელია სწორი?
  - 1) 2 ათეული და 3 ხუთეული მეტია 4 ათეულზე
  - 2) 7 ათეული და 3 ერთეული ნაკლებია 2 ოცეულსა და 5 ერთეულზე
  - 3) 20 ერთეული და 5 ათეული ნაკლებია 5 ოცეულზე
  - 4) 8 ათეული და 3 ხუთეული მეტია 10 ათეულზე

8. რომელია სწორი უტოლობა?

1)  $82 - 37 > 82 - 37$

3)  $78 + 16 < 78 + 12$

2)  $37 + 54 > 54 + 37$

4)  $52 + 15 > 52 + 11$

9. ჩაწერე ციფრებით: ოცდაჩვიდმეტი, ოცდახუთი, სამოცდარვა, ოცდათხუთმეტი, სამოცდათხუთმეტი და დაალაგე ზრდის მიხედვით. რომელია მეოთხე რიცხვი? კენტია თუ ლუწი იგი?

10. ჩაწერე რიცხვები ჯამის სახით ისე, როგორც გვესმის წარმოთქმისას. რომელია მათ შორის თანრიგების ჯამის სახით წარმოდგენა?

26, 37, 43, 57, 64, 75, 82, 92.

11. რიცხვებიდან 32, 38, 26, 39, 31, 19, 37, 23, 33, რომლის:

✓ უახლოესი ათეულია 30, არის: -----

✓ უახლოესი ათეულია 40, არის: -----

✓ უახლოესი ოცეულია 20, არის: -----

უახლოესი ოცეულია 40, არის: -----

12. რამდენი ბანანია? რამდენი ხუთეულია? რამდენი ათეულია? რამდენი ოცეულია?



## ტესტი №2 (შეკრება-გამოკლება 100-ის ფარგლებში)

- 47-ისა და 39-ის ჯამი შეამცირეს 18-ით, ნიშნავს:
  - 1)  $(47 - 39) + 18$
  - 2)  $(47 + 39) + 18$
  - 3)  $(47 - 39) - 18$
  - 4)  $(47 + 39) - 18$
- თუ 8 ათეულისა და 3 ოცეულის სხვაობას გავადიდებთ 2 ხუთეულითა და 3 ერთეულით, მივიღებთ:
  - 1) 30-ს
  - 2) 33-ს
  - 3) 43-ს
  - 4) 50-ს
- მაღაზიაში მიიტანეს 40 ტომარა კარტოფილი. მაღაზიამ ერთ დღეში გაყიდა მიტანილი კარტოფილის ნახევარი და კიდევ 2 ტომარა კარტოფილი. რამდენი ტომარა კარტოფილი დარჩა მაღაზიაში გასაყიდი?
  - 1) 17
  - 2) 18
  - 3) 19
  - 4) 20
- რომელია სწორი?
  - 1)  $58 + 14 + 17 > 58 + 17 + 14$
  - 2)  $35 + 32 + 15 > 35 + 20 + 10$
  - 3)  $75 - (18 + 11) < 75 - (20 + 9)$
  - 4)  $68 + (17 - 2) < 68 + (10 + 5)$
- უდიდესი ორნიშნა ლუწი რიცხვი შეამცირეს 40-ით, მერე გაადიდეს 20-ით და მიიღეს:
  - 1) სამოცდარვა
  - 2) სამოცდათვრამეტი
  - 3) ოთხმოცდარვა
  - 4) ოთხმოცდათვრამეტი
- რიგში 30 ბავშვია. ლუკას წინ 5-ით მეტი ბავშვია, ვიდრე უკან. მერამდენია ლუკა რიგში?
  - 1) მეორმეტე
  - 2) მეოთხმეტე
  - 3) მეოთხმეტე
  - 4) მეჩვიდმეტე

7. დაადგინე კანონზომიერება და დაწერე გამოტოვებული რიცხვი:






- 1) 33                      2) 22                      3) 66                      4) 11

8. \*-ის ნაცვლად ჩაწერე „+“ ან „-“ ნიშანი ისე, რომ მიიღო სწორი ტოლობა:

$$40 * 5 * 6 = 39; \quad 16 * 6 * 8 = 18.$$

$$20 * 5 * 10 = 15; \quad 15 * 5 * 6 = 4;$$

9. ახსენი სურათი და შეავსე დანარჩენი ცარიელი უჯრები:



10. ნინო მწკრივში პირველია, ხოლო მაკა შუაში დგას. ნინოსა და მაკას შორის 15 ბავშვია. სულ რამდენი მოსწავლეა მწკრივში?

11. სანდროს აქვს 40 მარკა, მარიამს კი 25. სანდროს მარკების რაოდენობა განახევრდა, მარიამის კი გაორმაგდა. ამის შემდეგ რამდენით მეტი მარკა აქვს მარიამს?

12. შეიძლება თუ არა:

✿ რიცხვი გაადილო 11-ით, შემდეგ 12-ით და მიიღო 22?

✿ რიცხვი შეამცირო 41-ით, შემდეგ 23-ით და მიიღო 12?


✿ რიცხვი გააორმაგო და მიიღო 81?

✿ რიცხვი გაანახევრო და მიიღო 34?

პასუხი დაასაბუთე

## ტესტი №3 (გეომეტრიული ფიგურები)

1. რამდენი ოთხკუთხედია ნახაზზე?




1) 3

2) 4




3) 5

4) 6


2. რომელი ფიგურაა ამოჭრილი კვადრატიდან?



3. რომელ ფიგურებს აქვთ ერთი საერთო გვერდი?




4. რომელი ციფრით აღნიშნული ფიგურა არ არის მრავალკუთხედი?



- 1) 4                      2) 3                      3) 2                      4) 5

5. რამდენი პირამიდაა სურათზე?



- 1) 3                      2) 2                      3) 4                      4) 5


6. რომელია სწორი?

- 1) კუბის წახნაგებისა და წვეროების რაოდენობა ტოლია
- 2) კუბის წახნაგების რაოდენობა მეტია მისი წიბოების რაოდენობაზე
- 3) მართკუთხა პარალელეპიპედის წიბოების რაოდენობა ნაკლებია მისი წვეროების რაოდენობაზე
- 4) მართკუთხა პარალელეპიპედის წახნაგების რაოდენობა ნაკლებია მისი წვეროების რაოდენობაზე

7. თუ პირამიდას აქვს 5 წვერო, მაშინ იგი:

- 1) სამკუთხაა    2) ოთხკუთხაა    3) ხუთკუთხაა    4) ექვსკუთხაა

8. შემდეგი ფიგურებიდან რომელს აქვს 4 წვერო? 3 წვერო? 6 წვერო? რომელი ფიგურაა განსხვავებული სხვა დანარჩენებისგან? რატომ ფიქრობ ასე? ახსენი.



9. სურათზე გეომეტრიული ფიგურები პერიოდულად მეორდება.


- მეორემეტე ადგილზე არის -----
- მეთოთხმეტე ადგილზე არის -----
- მეოცე ადგილზე არის -----



10. შემდეგი ფიგურებიდან სამკუთხედი გააფერადე წითლად. ოთხკუთხედი მწვანედ, წრე ლურჯად, ხუთკუთხედი ყვითლად.



11. რომელი ფიგურებისგან შეიძლება შევადგინოთ კვადრატი?



12. დააკვირდი, შენს ირგვლივ რომელ საგანს აქვს შენთვის ნაცნობი გეომეტრიული ფიგურის ფორმა. შეეცადე, დახატე ეს გეომეტრიული ფიგურები და მიუთითე, რომლებსაც აქვს გვერდები და წვეროები.



## ტესტი №4 (სიდიდე - ქართული ფული)

1. მარის ჰქონდა 38 ლარი. თოჯინის ყიდვის შემდეგ მარის დარჩა 8 ლარი. რა ღირს თოჯინა?  
1) 46 ლარი      2) 40 ლარი      3) 30 ლარი      4) 36 ლარი
2. 3 რვეული ღირს 6 ლარი, 5 ფანქარი კი – 2 ლარი. რა ღირს სულ 6 რვეული და 10 ფანქარი?  
1) 13 ლარი      2) 14 ლარი      3) 15 ლარი      4) 16 ლარი
3. ანას აქვს 2 ცალი 20–თეთრიანი, 5 ცალი 10–თეთრიანი. რამდენი თეთრი დარჩება ანას, თუ იგი იყიდის 3 ცალ 25-თეთრიან საშლელს?  
1) 10              2) 15              3) 20              4) 25
4. ლუკას 45 თეთრი აქვს. თუ იგი იყიდის 2 ფანქარს, მას 5 თეთრი დარჩება. რა ღირს 1 ფანქარი?  
1) 10 თეთრი      2) 15 თეთრი      3) 20 თეთრი      4) 25 თეთრი
5. სათამაშო მანქანა 18 ლარი ღირს, თოჯინაც – ამდენივე. ბურთი კი 12 ლარით იაფია ორივეს ერთად ღირებულებაზე. რა ღირს ბურთი?  
1) 23 ლარი      2) 22 ლარი      3) 24 ლარი      4) 26 ლარი
6. ნინომ ნახა, რომ მაღაზიაში თოჯინის ფასი გაორმაგებულა. რამდენი ლარი შეიძლება ყოფილიყო თოჯინის ფასი გაორმაგების შემდეგ?  
1) 53              2) 37              3) 35              4) 38
7. სანდრომ 28–ლარიანი ბურთი იყიდა და გამყიდველს მიაწოდა ორი 20–ლარიანი. რამდენ ლარს დაუბრუნებდა გამყიდველი სანდროს?  
1) 13              2) 14              3) 12              4) 11

8. დედამ იყიდა 2 მაისური 80 ლარად და 3 ქუდი 30 ლარად. რამდენი ლარით ძვირია 1 მაისური 1 ქუდზე? პასუხი ახსენი
9. ლუკას ჰქონდა 70 ლარი. მან თავისი თანხის ნახევარი და კიდევ 5 ლარი ბაზარში დახარჯა. რამდენი ლარი დარჩა ლუკას? პასუხი ახსენი
10. გაგას 68 ლარი აქვს, ხოლო თედოს კი 12 ლარით მეტი. მეგობარმა მათ 20 ლარი მისცა ორივეს ისე, რომ გაგას და თედოს თანაბარი თანხა გაუხდათ. რამდენი ლარი მისცა მეგობარმა გაგას და რამდენი თედოს? პასუხი ახსენი
11. 2 რვეული 2 ლარი ღირს, 4 ფანქარი კი 1 ლარი. რა ღირს 4 რვეული და 8 ფანქარი ერთად? პასუხი ახსენი
12. 7 ფანქარი 10 თეთრით ძვირი ღირს, ვიდრე 5 ისეთივე ფანქარი. რა ღირს 1 ფანქარი? რატომ ფიქრობ ასე? პასუხი ახსენი.

## ტესტი №5 (სიდიდე – სიგრძე)

1. დათომ მაგიდაზე მწკრივში დააწყო 3 კენჭი. მეზობელ კენჭებს შორის დაცილება არის 4 მტკაველი. რამდენი მტკაველი იქნება კენჭების მწკრივის სიგრძე?  
1) 12                                      2) 10                                      3) 8                                      4) 6
2. ერთი მაგიდის სიგრძე 20 მტკაველია, ხოლო მეორე მაგიდის სიგრძე კი – 16 მტკაველი. რამდენი მტკაველით მეტია ერთი მაგიდის სიგრძე მეორის სიგრძეზე?  
1) 5-ით                                      2) 4-ით                                      3) 2-ით                                      4) 3-ით
3. ლოკოკინა ერთ დღეს მიწიდან ხეზე აცოცდა 10 მტკაველით და ღამით ჩამოცოცდა 2 მტკაველით. მეორე დღესაც აცოცდა 10 მტკაველით და ღამით ჩამოცოცდა 2 მტკაველით. რამდენი მტკაველითაა ლოკოკინა ხეზე მიწიდან?  
1) 16                                      2) 18                                      3) 20                                      4) 22
4. ორ ტურისტს შორის მანძილი 60 ნაბიჯია. რამდენი ნაბიჯი იქნება მათ შორის მანძილი, თუ თითოეული ტურისტი ერთმანეთის შესახვედრად გაივლის 15 ნაბიჯს?  
1) 60 – 15                                      3) 60 + 15  
2) 60 – 15 – 15                                      4) 60 + 15 + 15
5. მოსწავლეებმა ერთ მწკრივში დარგეს 4 ნაძვის ხე. ნაძვის ხეების დაშორება ერთმანეთისგან იყო 3მ. რამდენი მ იქნებოდა სულ ნაძვის ხეების მწკრივი?  
1) 2                                      2) 4                                      3) 6                                      4) 8
6. თოკი გაკეცეს შუაზე და შემდეგ გაკეცილი თოკი გაჭრეს შუაზე. მიღებული ნაჭრებიდან უდიდესი ნაჭრის სიგრძეა 10მ. რამდენი მეტრი იყო თოკის თავდაპირველი სიგრძე?  
1) 20მ                                      2) 25მ                                      3) 30მ                                      4) 35მ

7. ტეხილი სამი მონაკვეთისგან შედგება. რას უდრის ტეხილის სიგრძე, თუ ერთი მონაკვეთის სიგრძე 20სმ-ია, ხოლო მეორე მონაკვეთის სიგრძე 5სმ-ით მეტია მასზე და 10სმ-ით ნაკლებია მესამე მონაკვეთის სიგრძეზე?

- 1) 50სმ                      2) 60სმ                      3) 70სმ                      4) 80სმ

8. კუბის ერთი წიბოს სიგრძე 6სმ-ია. რას უდრის კუბის სამი წიბოს სიგრძეთა ჯამი?

- 1) 12სმ                      2) 14სმ                      3) 16სმ                      4) 18სმ


9. მას შემდეგ, რაც თოკიდან ჩამოჭრეს 25 მ სიგრძის თოკი, თოკის სიგრძე გახდა 45 მ. რას უდრის თოკის თავდაპირველი სიგრძე?

- 1) 20მ                      2) 40მ                      3) 60მ                      4) 70მ

10. 15 მოსწავლე ერთ რიგად მოეწყო. თითოეული მოსწავლე ერთმანეთისგან დაშორებულია 1 ნაბიჯით. რამდენი ნაბიჯია ამ რიგის სიგრძე?

- 1) 15                      2) 12                      3) 13                      4) 14

11. მოცემული მონაკვეთების მიხედვით შეავსე წინადადებები:



- ✓ ამ მონაკვეთებიდან ყველაზე გრძელი მონაკვეთის სიგრძე არის . . . . . უჯრა
- ✓ ამ მონაკვეთებიდან ყველაზე მოკლე მონაკვეთის სიგრძე არის . . . . . უჯრა
- ✓ ყველა ამ მონაკვეთის სიგრძეთა ჯამი არის . . . . . უჯრა

12. ჩაწერე სათანადო რიცხვები წერტილების ნაცვლად:

$$37\text{სმ} = \text{----დმ } \text{----სმ}$$

$$58\text{სმ} = \text{----დმ } \text{----სმ}$$

$$67\text{სმ} = \text{----დმ } \text{----სმ}$$

$$45\text{სმ} = \text{----დმ } \text{----სმ}$$


## ტესტი №6 (დრო)

1. გუშინ 10 იანვარი იყო. რა რიცხვი იქნება ზეგ?  
1) 12 იანვარი      2) 13 იანვარი      3) 14 იანვარი      4) 15 იანვარი
2. ავტობუსი დილით 10 საათზე გავიდა სადგურიდან და დანიშნულ ადგილზე მივიდა დღის 2 საათზე. რამდენი საათი იყო გზაში ავტობუსი?  
1) 4                      2) 5                      3) 6                      4) 2
3. წელიწადის მესამე თვეა:  
1) აპრილი      2) მაისი      3) ივნისი      4) ივლისი
5. ავტობუსი სადგურიდან გავიდა 8 საათზე და გზაში იყო 3 საათი და 20 წუთი. რომელ საათზე ჩავიდოდა ავტობუსი დანიშნულ ადგილზე?  
1) 10სთ 20წთ                      3) 11სთ 20წთ  
2) 11სთ 30წთ                      4) 10სთ 30წთ
6. გუშინ იყო 18 იანვარი. რა დღე იყო გუშინ, თუ ზეგ სამშაბათი იქნება?  
1) შაბათი      2) კვირა      3) პარასკევი      4) ორშაბათი
7. კონცერტი უნდა დაწყებულიყო 18 საათზე. მაგრამ დაიწყო 2 საათით გვიან. რომელ საათზე დაიწყო კონცერტი?  
1) 16 სთ-ზე                      3) 19 სთ-ზე  
2) 17 სთ-ზე                      4) 20 სთ-ზე
8. ოსტატს უნდოდა დავალებული საქმე შეესრულებინა 12 საათში, მაგრამ მან 3 საათით ადრე შეასრულა დავალება. რამდენ საათში შეასრულა დავალება ოსტატმა?

9. ნინომ დავალების შესრულებას მონაღმმა 1 საათი და 25 წუთი. რამდენი წუთი მონაღმმა ნინომ დავალების შესრულებას?
10. მორის სამ ნაწილად გახერხვას სჭირდება 24 წუთი. რამდენი წუთი დასჭირდება მორის სამ ადგილზე გახერხვას?
11. მამა კვირაში 2 დღეს ისვენებს, დანარჩენი დღეები კი მუშაობს. კვირაში რამდენი დღე მუშაობს მამა?
12. ოსტატმა გარკვეული სამუშაო შესრულა 20 წუთში, ხოლო მისმა მოსწავლემ კი საათნახევარში. რამდენი წუთით ნაკლები დრო დასჭირდა ოსტატს სამუშაოს შესასრულებლად?

## ტესტი №7 (ორიენტირება და მიმართულება)

სურათის მიხედვით უპასუხე 1-5 კითხვას:



1. წრის კოორდინატებია:

- 1) (ბ; 4)                      2) (4; ბ)                      3) (ბ; 3)                      4) (4; დ)

2. რომელი ფიგურის კოორდინატებია (დ; 5)?

- 1) მონაკვეთის    2) წრის                      3) კვადრატის                      4) წერტილის

3. სამკუთხედის კოორდინატებია:

- 1) (1; გ)                      2) (1; ბ)                      3) (გ; 3)                      4) (გ; 1)

4. კვადრატის პირველი კოორდინატია:

- 1) 3                                      2) დ                                      3) ე                                      4) 5

5. მონაკვეთის მეორე კოორდინატია:


- 1) 3                                      2) ა                                      3) ბ                                      4) 2

6. საბას მარცხნივ თეა ზის, ხოლო თეას მარცხნივ ნინო. ვინ ზის შუაში?

- 1) საბა                                      2) თეა                                      3) ნინო                                      4) ეკა




7. ჭიანჭველა მოცოცავს ტეხილის ზედა ბოლოდან ქვედა ბოლოსკენ. როგორ მოძრაობს ჭიანჭველა:




- 1) მარჯვნივ, ქვევით, მარჯვნივ, ქვევით, მარჯვნივ
- 2) წინ, ზევით, წინ, ქვევით, მარცხნივ
- 3) წინ, ქვევით, წინ, ქვევით, წინ
- 4) მარცხნივ, ქვევით, მარცხნივ, ქვევით, მარჯვნივ

8. დააკვირდი სურათს. რომელია სწორი?



- 1) სტრიქონები მეტია სვეტებზე
- 2) სვეტები მეტია სტრიქონებზე
- 3) სვეტებისა და სტრიქონების რაოდენობა ტოლია

9. რომელია სწორი?




- 1) სამკუთხედი არის მარცხნიდან მესამე სტრიქონში
- 2) სამკუთხედი არის მარჯვნიდან მეორე სტრიქონში
- 3) სამკუთხედი არის მარჯვნიდან მეორე სვეტში
- 4) სამკუთხედი არის მარცხნიდან მესამე სვეტში

10 დახატე სამკუთხედი, კვადრატი, წრე, მართკუთხედი ისე, რომ წრე იყოს პირველ ადგილზე, კვადრატი წრის მარჯვნივ, ხოლო მართკუთხედი კვადრატსა და სამკუთხედს შორის.

11. შეავსე „რიცხვითი კიბე“:




12. დაწერე ნახაზის შესაბამისი ტოლობა:




## ტესტი №8 (მონაცემი, მონაცემთა ანალიზი)

1. მოცემული ბარათებიდან ამოარჩიე გარკვეული წესით ბარათები:




- ✿ ამოირჩიე ბარათები, რომელზეც ხმოვანი აწერია.
- ✿ ამოირჩიე ბარათები, რომელზეც თანხმოვანი აწერია.
- ✿ ამოირჩიე ბარათები, რომელზეც ლუწი რიცხვი აწერია.
- ✿ ამოირჩიე ბარათები, რომელზეც კენტი რიცხვი აწერია.
- ✿ ამოირჩიე ბარათები, რომლებზედაც ციფრთა ჯამი 7-ია.

2. შეარჩიე რაიმე წესი და დააჯგუფე ეს ფიგურები ორ ჯგუფად:



3. ჩამოწერე შენი კლასელების სახელები. ხმოვნებით დაწყებული სახელები გამოყავი ცალკე ჯგუფად და თანხმოვნით დაწყებული სახელები ცალკე ჯგუფად.

4. შეარჩიე რაიმე წესი და დააჯგუფე ეს ცხოველები ორ ჯგუფად:



5. შეარჩიე რაიმე წესი და დააჯგუფე სამ ჯგუფად.  
 ვაშლი, კოკა-კოლა, ატამი, რძე, კომბოსტო, ლიმონი, კიტრი, ბანანი, მანდარინი, პომიდორი, მსხალი, ბადრიჯანი, ღვინო, სტაფილო, ნაბეღლაფი, გარგარი, ლიმონათი.  
 მოიფიქრე თითოეული ჯგუფისთვის საერთო სახელი და ჩაწერე ცხრილში.


6. ოთხი თვის განმავლობაში აკვირდებოდნენ ამინდს. მიღებული შედეგები წარმოადგინეს ცხრილის სახით:


	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი
<b>მზიანი</b>	<b>5</b>	<b>9</b>	<b>7</b>	<b>10</b>
<b>ღრუბლიანი</b>	<b>19</b>	<b>10</b>	<b>15</b>	<b>10</b>
<b>წვიმიანი</b>	<b>7</b>	<b>12</b>	<b>6</b>	<b>11</b>

გამოიყენე ცხრილი და უპასუხე კითხვებს:

- ✿ რომელ თვეში იყო ყველაზე მეტი მზიანი დღე?
- ✿ რომელ თვეში იყო ყველაზე მეტი ღრუბლიანი დღე?
- ✿ რომელ თვეში იყო ყველაზე ნაკლები წვიმიანი დღე?
- ✿ რომელ თვეში იყო მზიანი და ღრუბლიანი დღეები ტოლი?
- ✿ დეკემბერში ღრუბლიანი დღეები რამდენით მეტი იყო მზიან დღეებზე?
- ✿ რომელ თვეში იყო 15 დღე ღრუბლიანი?
- ✿ რომელ თვეში იყო 5 დღე მზიანი?



9. ნინომ გამოკითხა მისი თანაკლასელები, თუ ვინ ეხმარებოდათ საშინაო დავალების შესრულებაში და შეავსო პიქტოგრამა.

ვინ ეხმარება საშინაო დავალების შესრულებაში?	
დედა	
მამა	
ძმა	
და	
არავინ	

პიქტოგრამის მიხედვით უპასუხე კითხვებს:

- ✳ გამოკითხულთაგან რამდენს ეხმარება დედა? მამა?
- ✳ სულ რამდენი მოსწავლე გამოიკითხა?
- ✳ გამოკითხულთაგან უმრავლესობას ვინ ეხმარება?
- ✳ რამდენი მოსწავლე ასრულებს დამოუკიდებლად საშინაო დავალებას?
- ✳ რამდენ მოსწავლეს ეხმარება და?
- ✳ რამდენ მოსწავლეს არ ეხმარება ძმა?

10. დათომ გამოკითხა მისი თანაკლასელები, თუ ვის რომელი სპორტი უყვარს და შეავსო პიქტოგრამა:

ჩემი საყვარელი სპორტი	
ფეხბურთი	
ხელბურთი	
რაგბი	

- ✳ სულ რამდენი მოსწავლე გამოიკითხა?
- ✳ გამოკითხულთაგან უმრავლესობას რა უყვარს?
- ✳ რამდენ მოსწავლეს უყვარს ხელბურთი?
- ✳ რამდენი მოსწავლით მეტს უყვარს რაგბი, ვიდრე ფეხბურთი? როგორ მიხვდი?